community

The New Apostolic Church around the world

01/2021/GE

ქრისტე - ჩვენი მომავალი!

რედაქციისგან:
ქრისტე - ჩვენი მომავალი!

ღვთისმსახურება
ყველაფერი მზად არის

დოქტრინა:
ადამიანის სიცოცხლის
საწყისი

New Apostolic Church
International

რედაქციისგან

3 ქრისტე - ჩვენი მომავალი!

ღვთისმსახურება

4 ყველაფერი მზად არის

ვიზიტი ევროპაში

10 ერთი შემწეობა - აქაც და იქაც

საბავშვო კუთხე

12 პეტრე უარყოფს იესოს

14 სტუმრად ლინასთან ოსლოში (ნორვეგია)

დოქტრინა

16 ადამიანის სიცოცხლის საწყისი

Titelfoto: ბერნჰარდ ჰოლდენერი
Rückseitefoto: პაკისტანის ახსე

ქრისტე - ჩვენი მომავალი!

ფოტო: საერთაშორისო ახსე

ჩემო საყვარელო ერთმორწმუნე და-ძმანო,

გასული 2020 წელი კორონა-პანდემიით აღინიშნებოდა. ამ კრიზისმა ერთი რამ ვერ წაგვართვა: ნდობა ღვთისადმი! ის არის და იქნება ჩვენი ზეციერი მამა, რომელსაც კარგი უნდა თავისი შვილებისათვის.

ჩვენს რწმენას მომავალში ცეს უნდა განსაზღვრავდეს. მართალია, არ ვიცით, თუ რას გვიმზადებს 2021 წელი, მაგრამ მას იმის ღრმა რწმენით ვიწყებთ, რომ იესო მალე მოვა! ეს არის ჩვენი რწმენის მიზანი. ამიტომ წლევანდელი წლის დევიზი უნდა იყოს:

ქრისტე - ჩვენი მომავალი!

ქრისტე ჩვენი მომავალია, რამეთუ უსაფრთხოებას გვანიჭებს იგი. მასში ვპოულობთ ენერგიასა და მოტივაციას იმისათვის, რომ გავაგრძელოთ რწმენის გზა. ვერც ცხოვრებისეულმა სირთულეებმა და ვერც სხვათა საქციელმა ვერ უნდა დაგვაყრევინოს ფარ-ხმალი. ჩვენ მტკიცედ მივდივართ მიზნისკენ.

ქრისტე ჩვენი მომავალია, რამეთუ იგია ჩვენი ხსნა და ჩვენი სრულყოფა სურს. ამის საფუძველი მისი სიკვდილი და აღდგომაა. მან იცის, რომ შეგვიძლია ხსნის მოპოვება და მზადა აქვს ყველაფერი, რაც ამისათვის არის საჭირო. უფლის აღთქმა, რომ ბოლომდე მიიყვანს თავის საქმეს, მტკიცეა. თუ ვუერთგულებთ მას, მისი მადლისა და წყალობის იმედიც შეიძლება გვქონდეს. შეგვიძლია დარწმუნებულნი ვიყოთ, რომ მისი დიდება ყველა ჩვენს ჯაფასა და სადარდებელს დაჩრდილავს.

ქრისტე ჩვენი მომავალია, რამეთუ ის არის ჩვენი მომავლის საშვი. ახლა ჩვენზეა დამოკიდებული, თუ როგორ ვიცხოვრებთ, როგორ მოვიქცევით, როგორ ვირწმუნებთ. საუკუნოდ ქრისტესთან რომ ვიცხოვროთ, მასთან თანაზიარებას დღესვე ვეძიებთ. მისი სახარებაა ის ფუნდამენტი, რომელზედაც ქორწინებას, ოჯახსა და მოყვასთან ურთიერთობას ვაფუძნებთ. იესო ქრისტეა ის მაგალითი, რომლის მსგავსიც გვინდა რომ ვიყოთ.

ახალი წლისათვის მშვიდობიან აზრებსა და განცდებს ვუსურვებ ყველა თქვენთაგანს. დაე, გაკურთხოთ ღმერთმა და მშვიდობა მკვდრეთით აღმდგარი უფლისა იყოს თქვენთან. მივენდოთ იესო ქრისტეს - ჩვენი ბედნიერი მომავალი ამაზეა დამოკიდებული. თუკი ჩვენი მზერა ქრისტეს მიმართ მტკიცე იქნება, მივაღწევთ კიდეც მიზანს.

გულითდი მოკითხვებით

ჟან-ლუკ შნაიდერი

2019 წლის 4 აგვისტოს 500-მდე მორწმუნე შეიკრიბა სან-პაულოში, პულმანის სასტუმროს ღია დარბაზში, პირველმოციქულ ჟან-ლუკ შნაიდერის ღვთისმსახურებაზე.

ფოტოები: ბრაზილიის ახსე

ყველაფერი მზად არის

ლუკ. 14, 16. 17

„მან კი უთხრა მას: ‘ერთმა კაცმა დიდი პურობა გამართა და ბევრი მოიწვია. პურობის დრომ რომ მოაღწია, გაგზავნა თავისი მონა, რათა წვეულთათვის ეთქვა: მობრძანდით, ყველაფერი მზად არისო.“

ჩემო საყვარელო ძმებო და დებო, ჩვენ მადლობას ვუხდითმამაზეციერსიმისათვის,რომდღესსაზეიმო ღვთისმსახურების სან-პაულოში ჩატარების შესაძლებლობა მოგვცა. კარგად მესმის, რომ ეს დღე თქვენთვის განსაკუთრებულია, ვინაიდან თქვენი სამხ. მოციქული დამსახურებულ პენსიაზე გადის, ხოლო მის საქმეს ახალი სამხ. მოციქული გააგრძელებს. ეს, მართლაც, გამორჩეული დღეა. მაგრამ, უპ. ყოვლისა, დღეს ღვთისმსახურებას ვეზიარებით. აქ საქმე მარტო სამხ. მოციქულთა მონაცვლეობას კი არ ეხება, არამედ შენ გეხება -, შენ და შენს დამოკიდებულებას ღმერთთან. ღმერთი დაინტერესებულია შენით. მას შენი განმტკიცება სურს. მას სურს, რომ განუგეშოს. მას სურს, რომ იესო ქრისტეს მეორედ მოსვლისათვის მოგამზადოს. ეს არის დღეს ყველაზე მნიშვნელოვანი. ღმერთს

უყვარხარ, მას შენთან დაკავშირებით გეგმები აქვს: ყველაფერი შენს გარშემო და შენი სულის გარშემო ტრიალებს.

ღმერთს სურს, რომ ჩვენი ურთიერთობა მასთან და თანაზიარება განმტკიცდეს.

და მეორე, რაც უნდა გავაკეთოთ, რა თქმა უნდა, სამხ. მოციქულთა შეცვლაა. მხატვრულად რომ ვთქვათ: ახლა ბრაზილიის ახალსამოციქულო ეკლესიის ისტორიის ერთ თავს ვხურავთ და ვიწყებთ მეორეს. მაგრამ წიგნი იგივე რჩება. მხოლოდ ერთი მონაკვეთია ახალი. იგივე საქმე, იგივე ისტორია, იგივე ღმერთი, იგივე მიზანი და იგივე გზა, რომლითაც ამ მიზანს უნდა მივაღწიოთ. ასე, რომ ნუ შეშფოთდებით, არაფერი შეიცვლება: ჩვენ კვლავაც გავაგრძელებთ გზას ზეცისკენ.

მაგრამ ეს დღე იმის კარგი შესაძლებლობაც არის, რომ უკან მოვიხედოთ და მადლობა გადავუხადოთ მამაზეციერს იმ კურთხევისათვის, რომელიც გასულ წლებში გამოვცადეთ. მე ვერ გამოვითვლი მის რაოდენობას, არც მისი სრული მოცულობა ვიცი. მაგრამ ვიცი ის, რომ ეს ქვეყანა ღვთისგან იყო კურთხეული იმ წლების განმავლობაში, როცა თქვენი სამხ. მოციქული მოღვაწეობდა აქ და, რომ ამ პერიოდში ბევრი დიდებული რამ განიცადეთ. განა მართებული არ იქნება, რომ ღმერთს მადლობა გადავუხადოთ ამ კურთხევისათვის?

ახლა კი ჩვენს ბიბლიურ ციტატას დავუბრუნდეთ. იგი იესოს ერთ-ერთი იგავიდან არის აღებული. ერთმა კაცმა დიდი პურობა გამართა - მათეს სახარებაში საქორწინო ნადიმიზეა საუბარი - და ბევრი სტუმარი მოიწვია. მან თავისი მონა გააგზავნა, რათა ეთქვა მათთვის: შეგიძლიათ მობრძანდეთ, ყველაფერი მზად არისო! მაგრამ არავინ მივიდა.

ერთმა თქვა: „ყანა ვიყიდე; უჭველად უნდა მივიდე და დავხედო, გთხოვ, მაპატიო.“ მეორემ შეუთვალა: „ხუთი უღელი ხარი ვიყიდე და მათ გამოსაცდელად მივდივარ; გთხოვ, მაპატიო.“ მესამემ თქვა: „ცოლი შევირთე და ამიტომ ვერ გეახლები.“ მაშინ ამ კაცმა თავის მონას უთხრა: „გადი სასწარაფოდ, ქალაქის მოედნებზე და ქუჩებში, მომიყვანე გლახაკნი, ხეიბრები, ბრმები და კოჭლები.“ მოგვიანებით დასძინა: „გადი გზებზე და ორღობეებში, დაიყოლიე ისინი, რომ მოვიდნენ, რათა აივსოს ჩემი სახლი“ (ლუკ. 14, 18-23).

აქ აღწერილი პურობა ღმერთთან თანაზიარებას განასახიერებს. იუდაიზმში ნადიმი ტრადიციულად ადამიანის ღმერთთან თანაზიარების, ღვთის სასუფეველში ჭამა-სმის სიმბოლოს წარმოადგენდა.

ღმერთმა თავისი ხალხი, ისრაელის ხალხი ამოირჩია, რათა მასთან თანაზიარება ჰქონოდა, და მოავლინა მისი ძე, მონა, რამეთუ ხალხისათვის ეთქვა: „მობრძანდით, ყველაფერი მზად არის!“ მაგრამ მათ არ მიიღეს ეს მოწვევა, არ გაჰყვნენ იესოს. ამიტომაც ღმერთმა თქვა: „მაშ ასე, ხსნა ყველა ადამიანს უნდა შევთავაზოთ და არა მხოლოდ რჩეულ ხალხს.“

ასეთია ისტორიული ფონი და ამ იგავის მნიშვნელობა. მაგრამ იგი ჩვენთვისაც შეიცავს გზავნილს. ჩვენც რჩეულნი ვართ. ღმერთმა ამოგვირჩია, რამეთუ მის სასუფეველში პირმშოებად შევიდეთ. ჩვენ მიწვეულნი ვართ კრავის საქორწინო ნადიმზე (გამოცხ. 19, 9). ეს არის ჩვენი მომავალი. და აი, იესო გვეუბნება: „მობრძანდით, ყველაფერი მზად არის!“

> მას მერე, რაც იესომ ჯოჯოხეთი და სიკვდილი დათრგუნა და ზეცად ამაღლდა, ყველაფერი მზად არის.

გაიხსენეთ იესოს სიტყვები, რომლებიც მან მოწაფეებს უთხრა, როცა ეუბნებოდა, რომ დატოვებდა მათ: „როცა წავალ და ადგილს გაგიმზადებთ, ისევ მოვალ და ჩემთან წაგიყვანთ, რათა, სადაც მე ვარ, თქვენც იქ იყოთ“ (იოან. 14, 3). ამით მან საკუთარ მსხვერპლზე იუწყა. ის წავიდა და სიცოცხლე დატოვა. ის მსხვერპლად შეეწირა და ჯოჯოხეთსა და სიკვდილს სძლია. ამდენად, მან ადგილები მოგვიმზადა. მისი გამარჯვება საბოლოო და სრულია. მას მერე, რაც იესომ ჯოჯოხეთი და სიკვდილი დათრგუნა და ზეცად ამაღლდა, იქ ყველაფერი მზად არის, აღარაფერია გასაკეთებელი. მაშასადამე, არავის უნდა აფიქრებდეს ის, მზად აქვს თუ არა იესოს ადგილები. ყველაფერი გაკეთებულია, ყველაფერი მზად არის; ზეცაში აღარაფერია გასაკეთებელი ქრისტეს მეორედ მოსვლისათვის. იქ ყველაფერი მზად არის.

აქ, დედამიწაზეც, ყველაფერი მზად არის. რამეთუ იესომ სულიწმიდა მოავლინა, მოციქულები წარგზავნა, და სულიწმიდის ზემოქმედებისა და

მოციქულთა მოღვაწეობის შედეგად ყველაფერი მზად არის. ის, რაც იმისათვის არის საჭირო, რომ ქრისტეს სასძლოს რიგებში ჩავდგეთ და ღვთის სასუფეველში შევიდეთ, აქ, დედამიწაზე, მოციქულების მიერ გადმოგვეცემა: ხელახლა შობა წყლისა და სულისგან, ღვთის სიტყვა, ცოდვათა მიტევება და წმიდა ზიარება - ეს ყველაფერი არის და ყველას სთავაზობენ.

როგორც იგავშია ნათქვამი, „გლახაკნი, ხეიბრები, ბრმები და კოჭლები“ (ლუკ. 14, 21), ყველანი, რა მდგომარეობაშიც არ უნდა იმყოფებოდნენ, - იქნებიან ესენი ღარიბები თუ მდიდარები -, მიიღებენ ყველაფერს, რაც ღვთის სასუფეველში შესასვლელად არის საჭირო. მოციქულების მეშვეობით მათ საიდუმლოების მიღება, სიტყვითა და მადლით ტკბობა და პირმშოობის მიღება შეუძლიათ. მოცემული სიტყვა ჩვენი დროის შესაფერისია: ყველაფერი მზად არის ქრისტეს მეორედ მოსვლისათვის, ზეცაში და მიწაზე, თვითეული ჩვენთაგანისათვის, არსებული გარემოებების მიუხედავად.

ვიცი, რომ გამოცხადებაში არის სიტყვა, სადაც ნათქვამია: „და ვიხილე სხვა ანგელოზი, მზის აღმოსავლით ამომავალი, რომელსაც ჰქონდა ცოცხალი ღმერთის ბეჭედი, და ხმამაღლა შესძახა ოთხ ანგელოზს, რომელთაც მიეცა ვნება მიწისა და ზღვისა: „ნუ ავნებთ ნურც მიწას, ნურც ზღვას, ნურც ხეებს, ვიდრე არ აღვბეჭდავთ ბეჭდით ჩვენი ღმერთის მონათა შუბლებს“ (გამოცხ. 7, 2. 3). ამ სიტყვების განმარტებისას სიფრთხილე უნდა გამოვიჩინოთ, რამეთუ ღმერთი ადამიანებზე არ არის დამოკიდებული. ვერ ვიტყვით: „ღმერთმა უნდა მოიცადოს, ვიდრე ყველა იმათგანს არ შეკრებს, რომლებიც მშვიდობის სასუფეველში სამუშაოდ სჭირდება. უფალი ვერ მოვა, ვიდრე ეს გუნდი ბოლომდე არ შეივსება. მან უნდა მოიცადოს, ვიდრე ბოლო სული არ აღიბეჭდება სულიწმიდით და მზად არ იქნება.“ ეს შეუძლებელია, ვინაიდან მაშინ ღმერთი ადამიანებზე დამოკიდებული გამოდის, ანუ: ყველაფერი მზად არის, მაგრამ ღმერთმა უნდა მოიცადოს, ვიდრე მზად არ ვიქნებით ...?

ღმერთი არ არის ადამიანებზე დამოკიდებული. უფალს ჯერ კიდევ 20 წლის წინ შეეძლო მოსულიყო და ყველა, ვინც მომზადებული იქნებოდა, თავისთან წაეყვანა, და თავის გეგმას ბოლომდე შეასრულებდა. ეს კარგად უნდა გვესმოდეს.

კიდევ ერთხელ: ღმერთი არ არის ადამიანებზე დამოკიდებული! უფალს ჯერ კიდევ 20 წლის წინ შეეძლო მოსულიყო, მას ჯერ კიდევ 100 წლის წინ შეეძლო მოსულიყო და ისინი წაეყვანა თან,

სამხ. მოციქული რაინერ შტორკი
(დასავლეთ გერმანია)

სამხ. მოციქული
რაულ მონტეს დე ოკა

სამხ. მოციქული
ენრიკე მინიო

ვინც მზად იქნებოდა, და ხსნის გეგმაც ბოლომდე შესრულდებოდა. მისთვის ყველაფერი მზად არის. არ არის სწორი ის, რომ მან თავისი ძე ჯერ კიდევ იმიტომ არ მოავლინა, რომ უნდა დაიცადოს, არამედ ეს მისი სიყვარულისა და წყალობის გამოხატულებაა. ის კიდევ ერთ შანსს გვაძლევს მოსამზადებლად.

იესო ქრისტეს ყოველ წუთს შეუძლია მოვიდეს - ყველაფერი მზად არის.

სულიწმიდით აღბეჭდილი მსახურების ამ მაგალითის მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ ჩვენი საქმე გვაქვს გასაკეთებელი, ვიდრე აქ ვიმყოფებით. ასე გვესმის ეს სიტყვები. იესოს ნებისმიერ დროს შეუძლია მოვიდეს. ღმერთი არ არის ადამიანებზე დამოკიდებული. მაგრამ სიყვარულითა და წყალობით ის კიდევ ერთ შანსს გვაძლევს ქრისტეს მეორედ მოსვლისათვის მოსამზადებლად. და მას სურს, რომ მის მოსვლამდე თვალი მივადევნოთ იმ სულებს, რომლებიც შეიძლება, რომ სულიწმიდით აღიბეჭდონ.

ასე, რომ ჩვენ კიდევ უფრო უკეთ ვიგებთ ამ სიტყვებს: „მობრძანდით, ყველაფერი მზად არის!“ - მობრძანდით! იესო არ გელოდება! ის შენზე არ არის დამოკიდებული. მაგრამ უყვარხარ. მაშ, მოდი! ნუ იქნები ისეთი უგუნური, როგორც სტუმრები მოცემული იგავიდან!

ჩვენთვის პრიორიტეტი ქრისტეს მეორედ მოსვლისათვის მომზადება უნდა იყოს, ამაზე მნიშვნელოვანი ჩვენთვის არაფერია. ეს შეიძლება ნებისმიერ დღეს, ნებისმიერ დროს მოხდეს. კიდევ ერთხელ: ყველაფერი მზად არის, შეგიძლია მიიღო, შენთვის ხელმისაწვდომია. მიუხედავად შენი პირადი გარემოებებისა დღეს ყველაფრის მიღება შეგიძლია, რაც იმისათვის გჭირდება, რომ მზად დახვდე უფალს: სიტყვა, წყალობა, საიდუმლოები. მოდი, მიიღე!

ის, რაც ჯერ კიდევ გვაკლია, დღეს მოციქულებისგან შეგვიძლია მივიღოთ.

მაგრამ „მოდი“ მარტო იმას არ ნიშნავს, რომ მივიდეთ ღვთისმსახურებაზე, მოვისმინოთ სიტყვა, შენდობითი ლოცვა, მივიღოთ წმიდა ზიარება. „მოდი“ ნიშნავს: გაჰყევი იესოს.

მათეს სახარებაში ამ იგავს „საქორწილო სამოსელზე“ თხრობა ემატება (მათ. 22, 11-14). ეს სამოსელი საჭიროა, თუ კი კაცს ღვთის სასუფეველში შესვლა სურს. „მოდი“ კიდევ ნიშნავს: გაჰყევი იესოს და მასავით იფიქრე, მასავით ილაპარაკე, მასავით მოიქეცი. ამას ნიშნავს ჩვენთვის „მოდი“.

ჩვენ ღმერთთან საუკუნო თანაზიარებისთვის ვართ წვეულნი მის სასუფეველში. იქ, ზეცაში, ყველაფერი

მზად არის, იესოს ნებისმიერ დროს შეუძლია მოსვლა. სიყვარულითა და წყალობით გვაძლევს იგი კიდევ ერთ შანსს. ის, რაც გვაკლია, დღეს მოციქულებისა და სულიწმიდის ზემოქმედების წყალობით შეგვიძლია მივიღოთ.

ამ სიტყვას კიდევ სხვა მნიშვნელობაც აქვს. პურობა ღმერთთან თანაზიარებას განასახიერებს, არა მხოლოდ მომავალ თანაზიარებას, არამედ იმასაც, რომელიც აქ და დღესვე შეგვიძლია გვქონდეს.

მოწაფეებთან თანაზიარება იესოს აქ, დედამიწაზე, პურობის დროს ჰქონდა, როცა ერთად ჭამდნენ და სვამდნენ. იესოს უნდა, რომ ახლა და აქ, დედამიწაზე, ჰქონდეს ჩვენთან თანაზიარება. და ეს სიტყვები აქაც არ კარგავს თავის მნიშვნელობას: „მობრძანდით, ყველაფერი მზად არის!“ იესო იმის გარანტიას იძლევა, რომ აქ ყველაფერია, რაც დღეს მასთან თანაზიარების შესაძლებლობას მოგვცემს. რისი გადატანაც არ უნდა მოგვიწიოს - იქნება ეს განსაცდელი, უბედურება, ცდუნება თუ შიშები -, როგორც პავლე ამბობს, ჩვენს ძალებზე აღმატებული არ იქნება: „მაგრამ სარწმუნოა ღმერთი, რომელიც არ შეგამთხვევთ იმას, რისი ატანაც თქვენს ძალ-ღონეს აღემატება“ (1. კორ. 10, 13). ის ყოველთვის იზრუნებს იმაზე, რომ არსებულ სიტუაციასთან გასამკლავებლად და მასთან კავშირის შესანარჩუნებლად საჭირო ძალები მივიღოთ. მაგრამ აუცილებელია, რომ მის მიერ გაწეული დახმარება გავაცნობიეროთ, რაცზოგჯერ პრობლემას წარმოადგენს.

ძველ აღთქმაში ერთი ასეთი ისტორიაა მოცემული. ჰაგართან, სარას მსახურ ქალთან, აბრაამს შვილი ჰყავდა, პირველი ვაჟი ისმაილი. და როცა სარამ ისააკი გააჩინა, ჰაგარი და მისი ძე გაამევა. ჰაგარი უდაბნოში დახეტიალობდა და რაღაც მომენტში წყალი გაუთავდა. მან იცოდა, რომ უდაბნოში უწყლოდ ისიც და მისი შვილიც დაიღუპებოდნენ, და აი, ისმაელი ბუჩქის ძირას დასვა, თვითონ წინ დაუჯდა და ატირდა. ამ დროს ღმერთმა ანგელოზი მიუგზავნა მას, რომელმაც თვალები აუხილა, და ჭა დაანახა. ის მანამდეც იქ იყო, მაგრამ ჰაგარმა ვერ დაინახა. ეს ჭა მხოლოდ ხვრელი იყო ქვიშაში და ამიტომაც ვერ შეამჩნია. ანდა შეიძლება სხვა რამეს ეძებდა, არ ვიცი. ფაქტი ის არის, რომ მან წყალი იპოვა და გადარჩა.

ჩვენც ვხვდებით ხოლმე ზოგჯერ მძიმე სიტუაციებში. ღვთისგან შემწეობას ვეძებთ და შეიძლება ვერ დავინახოთ, ვერ შევიცნოთ იგი. ჩვენ საკუთარი წარმოდგენები გვაქვს იმაზე, თუ რა უნდა გააკეთოს ღმერთმა. მაგრამ ღვთისათვის უპირველესი ის არის, რომ თავისთან თანაზიარება გვიწყალობოს. ეს არის მისთვის პრიორიტეტული. მას ამ თანაზიარების შენარჩუნება სურს. მისი სურვილია, რომ მასთან კავშირში დავრჩეთ. ეს არის მისი დახმარების მიზანი. მას ჩვენი დახმარება იმისათვის სურს, რომ ნებისმიერ გარემოებაში მასთან კავშირში ვიყოთ. ჩვენ ვერ ვხედავთ ამ დახმარებას, ვინაიდან სხვა რამეს ველოდებით. მივენდოთ ღმერთს! ის ზრუნავს იმაზე, რომ გვქონდეს ყველაფერი, რაც გვჭირდება, რათა მასთან კავშირი შევინარჩუნოთ: სიტყვის მეშვეობით, საიდუმლოების, მღვდელმსახურთა, ძმებისა და დების მეშვეობით. ღმერთი ზრუნავს იმაზე, რომ თვითეულმა მიიღოს ის, რაც რწმენის შესანახად არის აუცილებელი. მოდით, სულიწმიდას ჩვენი წარმართვის საშუალება მივცეთ, რათა შევიცნოთ და აღვიქვათ ის დახმარება, რომელსაც იგი გვიწევს. ჩვენი ხსნისათვის ყველაფერი მზად არის.

იმისათვის, რომ დახმარება მივიღოთ, მთელი რიგი წინაპირობებია შესასრულებელი. ამასთან დაკავშირებით კიდევ ერთი ისტორია ძველი დროიდან: გახსოვთ მოსე და ისრაელის ხალხი? ისინიც უდაბნოში იყვნენ და წყალი არ ჰქონდათ. ხალხი ეჩხუბებოდა მოსეს და ამბობდა: წყურვილით დავიხოცებითო (გამ. 17, 3). ღმერთმა უბრძანა მოსეს, რომ კვერთხი დაერტყა კლდისათვის და იქიდან წყალი გადმოვიდოდა.

მოსემ დაჰკრა კვერთხი კლდეს და წყალიც წამოვიდა - და თან იმდენი, რომ ყველამ დალია. ვფიქრობ, აშკარაა, რომ წყალი მანამდეც იქ იყო, მაგრამ მოსეს მორჩილება უნდა გამოეჩინა და მხოლოდ მაშინ შეძლებდა ხალხის დახმარებას.

ზემოთ: პირველმოციქული შნაიდერი სამხ. მოციქულ მინიონს ავალებს, უხელმძღვანელოს სამხ. მოციქულის ახალ სამოღვაწეო სფეროს სამხრეთ ამერიკაში.
მარჯვნივ: პირველმოციქული სამხ. მოციქულ მონტეს დე ოკას დამსახურებულ პენსიაზე აცილებს

როგორც კი შეასრულა მოსემ ღვთის ნება, წყალიც წამოვიდა. ღვთიური დახმარების განსაცდელად უნდა დავემორჩილოთ მას. მაგრამ ეს ბრძანებისა და მორჩილების აზრით ანდა სასჯელის შიშით არ უნდა გავაკეთოთ. რაც შეეხება მორჩილებას, აქ საქმე ღმერთთან ურთიერთობას ეხება. ღმერთს იმიტომ ვემორჩილებით და იმიტომ ვასრულებთ მის ნებას, რომ მასთან თანაზიარება გვინდა. მორჩილება ღვთის ნებასთან თანხმობას ნიშნავს: მისი აზრები ჩემი აზრები უნდა იყოს, ხოლო მისი ნება - ჩემი ნება.

ყველა, ვისაც მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, რომ ამ გზით იყოს დაკავშირებული ღმერთთან, გამოსცდის მის დახმარებას და ყველაფერს მიიღებს მისგან, რაც რწმენის შენახვას სჭირდება. ჩვენს გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული, ვიქნებით თუ არა ღმერთთან ერთნი.

ყველაფერი მზად არის, ყველაფერია, რაც გჭირდება. ღვთის მადლი ყველასთვის ხელმისაწვდომია. არაფერია ისეთი, რასაც ღმერთი ვერ გვაპატიებს. ყველაფერი მზად არის, მარტო ჩვენი მისვლაა საჭირო. თავად უნდა გამოვცადოთ საკუთარი თავი და ვაღიაროთ, რომ შეცდომები დავუშვით. ეს ყოველთვის იოლი არ არის.

მაგრამ მზად უნდა ვიყოთ იმის დასანახად, რომ შეცდომა დავუშვით. უნდა მივხვდეთ, რომ სხვაგვარადაც შეიძლებოდა მოვქცეულიყავით: არავის დაუძალებია ჩემთვის ამ ცოდვის ჩადენა, ეს ჩემი გადაწყვეტილება იყო, მცდარი გადაწყვეტილება.

მივიდეთ იესოსთან, მოვინანიოთ და წყალობა მივიღოთ. წყალობა ყველას ერგება. მოდი! მოდი სინანულით, მოდი მონანიებით, მოდი გულწრფელად და წყალობას ჰპოვებ.

როგორც ხედავთ, ეს გზავნილი საკმაოდ მარტივია. ღმერთი ზრუნავს იმაზე, რომ იყოს ყველაფერი, რაც მის სასუფეველში შესასვლელად არის საჭირო. ის ზრუნავს იმაზე, რომ ყველაფერი მივიღოთ, რაც დღეს მასთან თანაზიარებაში დასარჩენად არის საჭირო. ჩვენ ისღა დაგვრჩენია, მივიდეთ და ავიღოთ ის, რაც ღმერთმა მოგვიმზადა. ვინც ღვთის სასუფეველში შესვლისკენ ილტვის, გამოუვა კიდეც ეს. ღვთიური აღთქმა ასეთია: „მობრძანდით, ყველაფერი მზად არის!“

ძირითადი აზრები

უფალს ნებისმიერ მომენტში შეუძლია მოვიდეს. მოციქულთა მეშვეობით სულიწმიდა იმ ნიჭებს გვაძლევს, რაც ჩვენი ხსნისათვის არის აუცილებელი. ღმერთი ზრუნავს იმაზე, რომ მისადმი ერთგულების შენარჩუენება ნებისმიერ პირობებში შევძლოთ.

ერთი შემწეობა - აქაც და იქაც

სულერთია, იქნება ეს სააქაო თუ საიქიო, ტანჯვა ყველგან ერთნაირია. გამოსავალიც ერთი და იგივეა. როგორ კურნავს იესო სულიერად შეჭირვებულ ადამიანებს - შვიდი მაგალითი განსვენებულთათვის ღვთისმსახურებიდან, რომელიც 2020 წლის 4 ივლისს ციურიხ-ზეებახში (შვეიცარია) ჩატარდა.

ფოტოები: ბერნჰარდ ჰოლენბერი

ბიბლიური კონტექსტი: პეტრემ განკურნა კაცი, რომელიც დაბადებიდან ხეიბარი იყო. გაოცებულ ხალხს კი აუხსნა, რომ ეს მან კი არ ჩაიდინა, არამედ ეს განკურნება მხოლოდ და მხოლოდ იესო ქრისტესადმი რწმენით გახდა შესაძლებელი.

„რაც მაშინ პეტრემ მოიმოქმედა, ის დღეს მოციქულების მისიაც არის“, განაცხადა პირველმოციქულმა ჟან-ლუკ შნაიდერმა - კერძოდ, იმის უწყება, რომ იესო ქრისტე მესიაა, მხოლოდ მას შეუძლია ხსნის მინიჭება, და ის კვლავ მოვა მკვდართა აღდგომის რწმენით.“

„ცხადია, საიქიოშიც არსებობს დიდი სულიერი გასაჭირი და დიდი ტკივილი. იესო ქრისტეს შეუძლია, დაუცხროს მის მორწმუნეებს ეს ტკივილი“, განაცხადა მან და შვიდი მაგალითი მოიყვანა:

- სასჯელის შიში: „ახლა ღმერთის წინაშე წარდგომა რომ მომიწიოს და გამასამართლონ - სიკეთე ბოროტებას დაუპირისპირონ -, მაშინ ამ კითხვის წინაშე აღმოვჩნდები: რა გამიკეთებია ცხოვრებაში?“ მაგრამ „ვისაც იესო ქრისტესი სწამს, მან იცის, თუ როგორია ღმერთი. ის სიყვარულის ღმერთია, ის მწყალობელი ღმერთიც არის.“
- იმედგაცრუება: „ბევრს ჰგონია, რომ, თუ კარგი ცხოვრებით იცხოვრებენ, სიკვდილის მერე სამოთხეში მოხვდებიან. ისინი სადღაც კი იქნებიან, მაგრამ არა ღმერთთან. “ და: „არიან ადამიანები, რომლებისთვისაც ცხოვრება ისეთი აუტანელი გახდა, რომ სიცოცხლე მოისწრაფეს.“ თუმცა: „მიხვდნენ, რომ ყველაფერი გრძელდება.“ ვინაიდან: „სიკვდილი არ ათავისუფლებს კაცს, აღდგომა კი ნამდვილად ათავისუფლებს. იწამე იესო ქრისტე და გაჰყევი მას, ეს შენ საუკუნოდ

ქვემოთ: განსვენებულთათვის საკვირაო ღვთისმსახურებაზე პირველმოციქული ჟან-ლუკ შნაიდერი საიდუმლოებს ანიჭებს; აქ ის წყლით წმიდა ნათლობისათვის წყალს ანაწილებს

გაგათვისუფლებს ყოველგვარი ტანჯვისგან.“

- საყვედურები: „ზოგიერთი ადამიანის ბედს რომ გადავხედოთ, ვნახავთ, რომ ცხოვრებაში მათ, მართლაც, არაფერი კარგი არ ჰქონიათ - მხოლოდ უბედურება, ტანჯვა, გაჭირვება, სნეულება და დარდი. ამ დროს ღმერთთან დამოკიდებულებაში პრობლემა შეიძლება შეიქმნას.“ მაგრამ: „იესო ქრისტე იმიტომ მოვიდა, რომ ადამიანები ნამდვილად გაათვისუფლოს ბოროტის ბატონობისგან. მერე კი იმდენს მიიღებ, რომ აღარც კი გაგახსენდება ის, რაც ამქვეყნად გადაიტანე - ღმერთის დიდებაში შეხვალ.“
- უსიყვარულოდ ყოფნა: „არიან სულები, რომლებიც საიქიოში დიდი სულიერი ტკივილით ხვდებიან. მათ არასოდეს განუცდიათ სიყვარული.“ მაგრამ: „იესო ქრისტეს ამ ტანჯვისგან განკურნებაც შეუძლია. მას მათთვისაც შეუძლია ამის თქმა: „მე შენ მიყვარხარ, ისეთი ძვირფასი ხარ ჩემთვის, რომ სიცოცხლე შემოგწირე - პირადად შენ.“
- სინანული: „არიან ადამიანები, რომლებიც საიქიოშიც აცნობიერებენ, რომ უსამართლოდ მოიქცნენ. დიდი ტანჯვა და ზიანი მიაყენეს სხვებს და ჩადენილის გამოსწორების შესაძლებლობა არა აქვთ.“ მაგრამ: „მომნანიე კაცისათვის დიდი რამ არის ის, რომ მას წყალობის მოპოვება არა მარტო საკუთარი თავისთვის შეუძლია, არამედ იესო ქრისტეს სიყვარულს მინდობილს ბედნიერების მოტანა სხვებისათვისაც შეუძლია - ჩადენილი დანაშაულისა და შეცდომების მიუხედავად.“
- განშორება: „ტკივილი, რომელიც ყველამ ვიცით და გვესმის, განშორების ტკივილია. ამ შემთხვევაშიც შეუძლია იესო ქრისტეს ნუგეშისცემა და გამხნევება. თავისი სუფევით, წყალობით, კურთხევით ისეთ მშვიდობას ანიჭებს იგი ადამიანს, რომ ყველაფრის მიუხედავად სულში სიმშვიდე ისადგურებს. ის ასე გვაიმედებს: ეს მხოლოდ დროებითი განშორებაა.“
- უმეცრება: „ბევრია ისეთი ადამიანი, ალბათ უმრავლესობაც კი, რომლებმაც საერთოდ არაფერი არ იცოდნენ იესო ქრისტეს შესახებ - სულ ამაზე მეფიქრება. ამიტომაც დარწმუნებულნი ვართ, რომ საიქიოშიც ეძლევათ მათ იმის შესაძლებლობა, რომ გაიცნონ იესო ქრისტე, მივიდნენ მასთან და ხსნას მისი მეშვეობით მიაღწიონ.“

„წესი ასეთია: არანაირი ხსნა ქრისტეს გარეშე“, დასძინა პირველმოციქულმა შნაიდერმა: „მაგრამ ხსნის გადაცემა მარტო დედამიწაზე კი არ არის შესაძლებელი, არამედ საიქიოშიც, ათასწლიან მშვიდობის სასუფეველშიც. ასეთია ჩვენი რწმენა ხსნის ღვთიურ გეგმასთან დაკავშირებით.“

ძირითადი აზრები

საქმე 4, 12

„სხვის მიერ არავისგანაა ხსნა და არც კაცთათვის მიცემული სხვა სახელია ცის ქვეშ, ვისი წყალობითაც ვიხსნიდით თავს.“

ჩვენი სურვილია, რომ საიქიოშიც ბევრი მოინათლოს, რაც ღვთისგან სიშორეს აღკვეთავს და რაც მათ შემდეგს მიახვედრებს: „იესო ჩემთვის მოკვდა, მე მარტო არ ვარ, არამედ იესო ქრისტეს ეკლესიის ნაწილი ვარ.“

პეტრე უარყოფს იესოს

ლუკ. 22, 24-62-ის მიხედვით

როცა იესო მოწაფეებთან ერთად საპასექე კრავს მიირთმევდა, უთხრა მათ, რომ ერთ-ერთი მათგანი გასცემდა. მოწაფეები ერთმანეთს ეკითხებოდნენ, თუ ვინ შეიძლებოდა ეს ყოფილიყო. იმაზეც დაიწყეს დავა, თუ ვინ იყო მათ შორის „უდიდესი“. იესომ კი თორმეტივეს უთხრა, რომ ერთმანეთისათვის უნდა ემსახურათ.

იესომ პეტრეს უთხრა: „სატანას თქვენი ერთმანეთისგან დაშორება სურს. მაგრამ მე ვილოცე შენთვის, რათა არ შემცირდეს შენი რწმენა. და როცა მოიქცევი, განამტკიცე შენი ძმები“.
პეტრემ კი მიუგო: „უფალო, მზადა ვარ საპყრობილეშიც წამოგყვე და სასიკვდილოთაც.“
ამ დროს იესომ თქვა: „პეტრე, დღეს, სანამ მამალი იყივლებდეს, სამჯერ უარმყოფ და იტყვი, რომ არ მიცნობ.“
პასექის შემდეგ იესო ზეთისხილის მთისკენ გაემართა, გეთსემანიის ბაღისკენ; მოწაფეებიც გაჰყვნენ მას.

ის რაღაც მანძილზე გაშორდა მათ, რათა ელოცა. მოწაფეებსაც უნდა ელოცათ, რომ არ დასუსტებულიყვნენ. იესო ევედრებოდა ღმერთს: „მამაო, თუ გნებავს, ამაცილე ეს სასმისი! თუმცა იყოს არა ჩემი ნება, არამედ შენი!“ ანგელოზი მივიდა მასთან და განამტკიცა. იესომ უფრო გულმხურვალედ დაიწყო ლოცვა. ის სიკვდილს ებრძოდა და „მისი ოფლი სისხლის წვეთებად ეპკურებოდა მიწას“. მერე წამოდგა და მოწაფეებთან მივიდა. მათ კი მწუხარებისგან ჩასძინებოდათ. იესომ გააღვიძა ისინი და უთხრა, რომ ელოცათ.
ამასობაში იუდამ, თორმეტთაგან ერთ-

ერთმა, ბაღში მისი
მოწინააღმდეგეები
მიიყვანა. იესო შეიპყრეს
და დასაკითხად
მღვდელმთავრის სახლში
მიიყვანეს. პეტრე შორიდან
მისდევდა მას.
სახლის ეზოში ხალხი
ცეცხლთან თბებოდა; პეტრეც
მიუჯდა მათ. ერთი მოახლე
გულდასმით აკვირდებოდა
მას და თქვა: „ესეც მასთან
იყო.“
პეტრემ უარყო და უთხრა:
„ქალო, არ ვიცნობ მას.“
ცოტა ხნის შემდეგ სხვამ
დაინახა იგი და თქვა: „შენც
ერთი მათგანი ხარ.“
ისევ უარყო პეტრემ
ყველაფერი: „არა ვარ, კაცო.“

კიდევ ცოტა ხნის შემდეგ,
დაახლოებით ერთი საათის
მერე, ვიღაცამ დარწმუნებით
თქვა: „ნამდვილად,
ესეც მასთან იყო, ისიც
გალილეველია.“
პეტრემ მესამედაც უარყო:
„არ ვიცი, რას ამბობ, კაცო.“
და როცა ამას ამბობდა,
მამალმა მესამედ იყივლა.
იესო მობრუნდა და პეტრეს
შეხედა.
პეტრეს იესოს სიტყვები
გაახსენდა: „პეტრე, დღეს,
სანამ მამალი იყივლებდეს,
სამჯერ უარმყოფ და იტყვი,
რომ არ მიცნობ.“
პეტრე გარეთ გამოვიდა და
მწარედ ატირდა.

წყარო: საბავშვო ჟურნალი, გამოცემა 04/2020; ილუსტრაციები: მირელა ფორტუნატი

სტუმრად ლინასთან ოსლოში (ნორვეგია)

ჩემი სახელია ლინა, ვარ ცხრა წლის. ჩემს მშობლებთან და უმცროს ძმა ელიელთან ერთად ოსლოში ვცხოვრობ. დედაჩემი და მამაჩემი კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკიდან არიან, მაგრამ მე და ჩემი ძმა ნორვეგიაში დავიბადეთ.



უკვე რამდენჯერმე ვიყავით კონგოს დრ-ში. იქ ფრანგულად ლაპარაკობენ. მე ფრანგულადაც ვლაპარაკობ და ნორვეგიულადაც. თვითმფრინავს იქამდე 14 საათზე მეტი სჭირდება - პარიზში გადაჯდომით.

ოსლო ნორვეგიის დედაქალაქია. ტურისტები, უპ. ყოვლისა, სასახლეში მიდიან, სადაც სამეფო ოჯახი ცხოვრობს, და ასევე აკერსჰუსის ციხე-სიმაგრეს ათვალიერებენ, რომლის შემადგენლობაშიც შედის ერთი სასახლე, მუზეუმები და გასართობი პარკი. ციხე-სიმაგრესა და სასახლეს სამეფო გვარდია იცავს.

სამეფო გვარდიას ერთი უჩვეულო წევრი ჰყავს: სერ ნილს ოლაფ III. ის შოტლანდიაში, ედინბურგის ზოოპარკში ცხოვრობს. 1913 წელს, როცა იგი გაიხსნა, ნორვეგიამ მას სამეფო პინგვინი აჩუქა. 1972 წლიდან ნორვეგიული გვარდია სამხედრო მუსიკის ფესტივალში იღებს მონაწილეობას, რომელიც რეგულარულად ტარდება ედინბურგში. პირველად სწორედ მაშინ გახდა პინგვინი პოლკის თილისმა. ყოველ ფესტივალზე ამ პინგვინს ან მის შთამომავალს ახალი საპატიო ტიტული ენიჭება. 2016 წელს ნილს ოლაფი ბრიგადის გენერლად დააწინაურეს.

თავისუფალ დროს ოჯახთან და საუკეთესო მეგობრებთან ვატარებ. მოგვწონს ფოტოების გადაღება და მათი სახალისო რედაქტირება.

ხანდახან მამაჩემთან ერთად ფეხბურთს ვთამაშობ. ადრე ბადმინტონსაც ვთამაშობდით ერთად. ეს ძალიან მომეწონა და ვიმედოვნებ, რომ მალე ისევ ვითამაშებთ. მიყვარს სპორტი, სკოლაში ხელბურთის გუნდის წევრი ვარ. ეს ძალიან მაგარია, რადგან მეგობრებთან ყოფნა და გართობა შემიძლია. როცა თავისუფალი დრო გვაქვს, სკოლის ეზოში მივდივართ ხოლმე. მაგრამ სწავლაც მიყვარს, ჩემი საყვარელი საგანია ნორვეგიული ენა.

რაც შეეხება საჭმელს, ჩემი ფავორიტები ლაზანია და ტაკოა.

მე და ჩემი ოჯახი ოსლოს თემს ვეკუთვნით. ჩემს ძმასთან ერთად საკვირაო სკოლაში დავდივარ. რაც ყველაზე მეტად მომწონს იქ, არის ის, რომ ყველა რაღაც სასიამოვნოს გვეუბნება და კარგად ვერთობით ერთად.



ზამთარი ნორვეგიაში საკმაოდ ხანგრძლივი და ცივია, ზოგჯერ თოვა ოქტომბრიდან იწყება და მაისამდე გრძელდება. ამიტომაც მიხარია, რომ ახლა უკვე მალე დათბება.

წყარო: საბავშვო ჟურნალი, გამოცემა 04/2020; ფოტოები: პირადი, Mark Owens/wikimedia.commons, vitals - stock.adobe.com



ფოტო: ©Jonathan - stock.adobe.com

ადამიანის სიცოცხლის საწყისი

კონტრაცეფცია და ორგანოების დონაცია, შვილების გაჩენის სურვილი და ევთანაზია: სიცოცხლესა და სიკვდილთან დაკავშირებული კითხვა თავისთავად ჩნდება და ძალიან პირადულია. იმისათვის, რომ მორწმუნეებმა გადაწყვეტილება დამოუკიდებელად მიიღონ, სამეცნიერო ნაშრომი „ადამიანის სიცოცხლის საწყისი და დასასრული“, რომელიც მათ საორიენტაციოდ გამოადგებათ, არსებულ მდგომარეობას ახალსამოციქულო რწმენის თვალსაზრისით განიხილავს.

ადამიანის სიცოცხლის საწყისი სხვადასხვა კუთხით შეიძლება იქნას აღწერილი.

- ბიოლოგიური პოზიცია საბუნებისმეტყველო ცოდნაზეა დამყარებული.
- ეთიკური პოზიცია კი დამოკიდებულია შესაბამისი საზოგადოების ძირითად ღირებულებებზე და სპეციალურ დისციპლინაზე, რომლის კონტექსტშიც განიხილება ეთიკა (მაგ., თეოლოგიური ეთიკა ან სამედიცინო ეთიკა).
- ქრისტიანული რწმენის თვალსაზრისით გადამწყვეტი მნიშვნელობა ბიბლიისა და სახარების ფორმულირებებს ენიჭება.

ბიოლოგიური პოზიცია

ბიოლოგიური თვალსაზრისით ადამიანის სიცოცხლე კვერცხუჯრედის განაყოფიერებით იწყება. კვერცხუჯრედისა და სპერმის შეერთების შედეგად ემბრიონის ჩამოყალიბება ხდება, რომლის განვითრების პროცესიც უწყვეტად მიმდინარეობს და, რომელსაც ძირითადად გენეტიკური მასალა განსაზღვრავს. ეტაპებად დაყოფა, რაც ცნობილია ჩვენთვის, მხოლოდ იმის აღწერაა, რისი დანახვაც შეგვიძლია. კვერცხუჯრედის განაყოფიერებასა და ჩანასახის საშვილოსნოს კედელთან სრულ მიმაგრებას დაახ. შვიდი დღე სჭირდება, დროის ის მონაკვეთი, რომელიც კრიტიკულად უნდა იქნას გამოკვლეული კონტრაცეფტული საშუალებებისა და ბიოსამედიცინო მეთოდების გამოყენებისას, მაგ., ხელოვნური განაყოფიერების დროს.

განვითარების პირველ ეტაპზე თავიდან არსებული ემბრიონების ნაწილი კვდება, ვინაიდან ან დეფექტურები არიან ისინი, ანდა მათთვის შესაბამისი გარემო პირობები არა აქვთ. განსაკუთრებით დიდია იმ ემბრიონების წილი, რომლებიც საშვილოსნოში გადანერგვამდე იღუპებიან. დღეს ითვლება, რომ ემბრიონების ნახევარზე მეტი ბუნებრივი გზით კვდება.

ეთიკური პოზიცია

ეთიკა ღირებულებებსა და პასუხისმგებლობაზე მუშაობს და რაციონალურად ასაბუთებს იმას, თუ რა არის კარგი ანუ ზნეობრივი. საკანონმდებლო რეგულაციებს, რომლებიც ბიომედიცინის სფეროში ხორციელდება, ხშირად ეთიკური მოსაზრებები უდევს საფუძვლად.

ადამიანის სიცოცხლის საწყისს განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს, ერთი მხრივ, რელიგიური ეთიკა, რომელიც თეოლოგიური ჭეშმარიტებიდან გამოდის და ზოგადი კრიტერიუმების შემუშავებას ცდილობს, ხოლო, მეორე მხრივ, დიდი პოპულარობით სარგებლობს სამედიცინო ეთიკა, როგორც პრაქტიკული ეთიკის ნაწილი. მისი მიზანია, მორალურად დაასაბუთოს პოზიციები და პასუხები გასცეს ინდივიდუალურ კითხვებზე; ამ კითხვების გაჩენის მიზეზი დღეს ადამიანის სიცოცხლის წარმოშობასა და შენარჩუნებაში ჩარევა წარმოადგენს.

პოზიცია ჩვენი რწმენის კუთხით

ჩვენი რწმენის თვალსაზრისით, ადამიანის სიცოცხლის საწყისი მჭიდროდ უკავშირდება ხორცის სულთან შერწყმას (გასულიერებას), ადამიანის სიცოცხლის დასასრული კი - ხორცისა და სულის გაყრას. ბიბლიაში არ არსებობს გასულიერების პროცესსა და დროსთან დაკავშირებულ საკითხებზე მითითებები, რომლებიც მოძღვრების ჩამოყალიბების საფუძველი იქნებოდა.

გასულიერებასთან დაკავშირებული ფილოსოფიური და თეოლოგიური პოლემიკა წინაქრისტიანულ ეპოქას სწვდება. მოსაზრებანი იმის შესახებ, თუ რა იგულისხმება გასულიერებაში, რა გზითა და რა დროში ხორციელდება იგი, დამოკიდებულია შესაბამის წარმოდგენებსა და ცოდნაზე იმის შესახებ, თუ როგორ ხდება ემბრიონის ჩასახვა და განვითარება საშვილოსნოში. აი, რატომ არსებობდა საუკუნეების განმავლობაში ასეთი განსხვავებული წარმოდგენები ამასთან დაკავშირებით.

გასულიერება - ცნების ისტორია

გასულიერებასთან დაკავშირებული ძველი მოწმობები ბერძნული ფილოსოფიიდან მოდის (პლატონი), სადაც „სამშვინველი“ აღნიშნავდა იმას, რაც ადამიანის სხეულს ქმნის და სიცოცხლესა და მოძრაობის უნარს ანიჭებს მას, და რაც სიკვდილისას ხორცს შორდება.

არისტოტელე უკვდავი სულისგან (სამშვინველისგან) კი არ გამოდიოდა, არამედ მასში იმ პრინციპს ხედავდა, რომელიც ხორცთან ერთად აყალიბებდა და აცოცხლებდა სხეულს, და რომელიც სიკვდილით სრულდებოდა. მხოლოდ ის, რასაც ადამიანი ინტელექტუალურად ქმნის, როგორც სული, უკვდავი რჩება. ხორცის განვითარების პარალელურად იგი სამშვინველის განვითარების სხვადასხვა ეტაპებს ეყრდნობოდა. მისთვის გასულიერება მცენარეული ანუ „ვეგეტაციური“ სულის ჩასახვით იწყება, რომელსაც „ცხოველური, შეგრძნებების აღმქმელი სული“ ცვლის,



ფოტო: ©creedline - stock.adobe.com

დაბადებისთანავე კი - „მოაზროვნე, შემეცნების მქონე სული“. გასულიერების ამ თანმიმდევრულ ეტაპებს თანმიმდევრულ გასულიერებას უწოდებენ.

ქრისტიანული ტრადიციის მიხედვით სამშვინველი სტანდარტულად რაღაც წმინდა სულიერს წარმოადგენს. გასულიერების გზასა და დროს საკმაოდ განსხვავებულად აღწერენ. ავგუსტინე ღიად ტოვებს საკითხს იმის შესახებ, მოდის თუ არა სამშვინველი ადამის სამშვინველიდან და ჩასახვის მომენტში მისი მშობლებიდან გადაცემა ხდება, თუ ღმერთი მას თავიდან ქმნის (კრეაციანიზმი).

თომა აქვინელი მიიჩნევს, რომ სამშვინველი, როგორც ყველაზე მნიშვნელოვანი რამ ადამიანში, ადამიანების მიერ კი არ გადაიცემა, არამედ ღმერთი თავიდან ქმნის მას იმ მომენტში, როცა სხეული ყალიბდება. არისტოტელეზე დაყრდნობით თომა აქვინელისათვის სამშვინველი განვითრების იმ ფორმას იღებს, რომელიც პრინციპში უკვე დასრულებულია (40-90 დღის შემდეგ). სამშვინველის უზენაესი დონე, მოაზროვნე სული, ღვთისგან იქმნება და ადამიანურ სხეულში ჩაისახება.

გვიან ანტიკურ ხანაში და შუასაუკუნეებში ძირითადად თვლიდნენ, რომ გასულიერება გვიან ხდებოდა. ინდივიდის განვითრების ბიოლოგიასა და განსაკუთრებით გენეტიკაში მიღებული დასკვნების მიხედვით ადამიანის ახალი სიცოცხლის დაწყების დრო და მომენტი და აქედან გამომდინარე გასულიერების დასაწყისი გაცილებით ადრე უნდა ვივარაუდოთ.

არსებული პოზიციების მნიშვნელობის შესახებ

დასავლურ საზოგადოებაში, ანტიკური ხანიდან განმანათლებლობის ეპოქამდე, ეკლესია ცხოვრების ფორმირების საკითხების ინტერპრეტირების ყოვლისმომცველ ძალას ფლობდა. განმანათლებლობისა და სამედიცინო სფეროში მიღწეული პროგრესის შედეგად თანამედროვე ეპოქაში ძალიან გაიზარდა ეთიკისა და განსაკუთრებით მედიცინის მნიშვნელობა. საზოგადოებრივი ნორმების ჩამოყალიბება ბიომედიცინის სფეროში იმ ტექნიკური შესაძლებლობებით ხდება, რაც ზოგადად დღეს არსებობს. ეკლესიის მიერ ინტერპრეტირების ძალას მედიცინის სფეროში თავად აქტიური ქრისტიანებიც კი ეჭვის თვალით უყურებენ. მათი ადგილი საზოგადოებრივმა ტენდენციებმა და ეთიკურმა მოსაზრებებმა დაიკავა.

ცალკეულ სახელმწიფოებში დღეს არსებული ერთმანეთისგან საკმაოდ განსხვავებული საზოგადოებრივი ნორმებისა და კანონების გამო ბიომედიცინის სფეროში არსებული პრინციპული დებულებების ყოფაში განხორციელება მხოლოდ შეზრუდულ დონეზეა შესაძლებელი. აქ გადაწყვეტილებები სულ უფრო მეტად ეთიკის კომიტეტების მიერ ანდა პირადი პასუხისმგებლობით უნდა იქნას მიღებული. ჩვენი ეკლესიის თვალსაზრისით, ეს პირადი პასუხისმგებლობა თვითნებური კი არ არის, არამედ ძირითადი განზრახვის კრიტიკულ შემოწმებას უკავშირდება.

წინააღმდეგობა პოზიციათა შორის

თუ ადამიანის სიცოცხლის საწყისთან მიმართებაში არსებულ სხვადასხვა პოზიციებს ერთმანეთს დავუკავშირებთ, წინააღმდეგობაც იჩენს თავს.

ეთიკურ პოზიციაზე დაფუძნებული სამართლებრივი რეგულაციები მხოლოდ ნაწილობრივ ემთხვევა ქრისტიანულ ღირებულებებს. იმ მეთოდებს, რომლებიც ქრისტიანულ ღირებულებებს ეწინააღმდეგება, ან ითვალისწინებენ, ან უარყოფენ, მაგრამ ისინი დასჯადი არ არის. ამ დაუსჯელობს გამო თავიდან ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ისინი დაშვებულია.

თუ ადამიანის გასულიერება - რაც ძალიან მნიშვნელოვანია ეკლესიის თვალსაზრისით -კვერცხუჯრედისა და სპერმატოზოიდის ბიოლოგიურადდამტკიცებულშერწყმასდროულად შეუერთება, მაშინ ბუნებრივი გამრავლების დროს გასულიერებული ადამიანების მნიშვნელოვანი ნაწილი, ემბრიონების სიკვდილიანობის გამო, დაუბადებლად დაიღუპებოდა. გასულიერებული სიცოცხლე ისე მოკვდებოდა, რომ მშობლები ამას ვერც მიხვდებოდნენ.

ეკლესიის თვალსაზრისით, შეუძლებელია იმის ერთმნივნელოვნად დადგენა, თუ როდის ხდება გასულიერება. მნიშვნელოვანია ის, რომ ადამიანის სიცოცხლის განვითარება პრინციპში მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით ანუ ადამიანური საქმეებით არ დაბრკოლდეს ან არ დაიღუპოს, თუმცა ამასთან დაკავშირებული შესაბამისი კანონები არსებობს. ამ მოსაზრების საფუძველზე ეკლესია რეკომენდაციებს იძლევა ბიომედიცინის სფეროში, რომლებიც მორწმუნეებს ორიენტირს აძლევს, რათა გადაწყვეტილება დასაბუთებულად და, საბოლოო ჯამში, საკუთრი პასუხისმგებლობის შეგნებით მიიღონ.

იმის გამო, რომ გასულიერების მომენტი უცნობია, არ შეიძლება დავასკვნათ, რომ ყოველი განაყოფიერებული კვერცხუჯრედის (ემბრიონის) სიკვდილისას სული საიქიოში მიდის.

გასულიერების გზა, საბოლოო ჯამში, ჩვენთვის უცნობია, ის ღვთის ხელშია. და ვინაიდან მორწმუნეთა ყოფისათვის ამას პრაქტიკული შედეგები არ გააჩნია, ეკლესია ამ საკითხთან დაკავშირებით საკუთარ პოზიციას არ აფიქსირებს.

ახალსამოციქულო ეკლესიის პოზიცია სიცოცხლის საწყისსა და გასულიერებასთან დაკავშირებით

- იმისათვის, რომ ადამიანი, როგორც ღვთის ხატება, საუკეთესოდ იქნას დაცული, ეკლესია ადამიანის სიცოცხლეს განაყოფიერების მომენტიდან პატივისცემით უყურებს და უარს ამბობს მის მოკვლაზე. ამ სიცოცხლეს სრული ადამიანური ღირსება გააჩნია.
- ის მომენტი, თუ როდის მოხდება გასულიერება, ღმერთის ხელშია და ადამიანური თვალთახედვით, მისი დადგენა შეუძლებელია. თუმცა ეკლესიის ვარაუდით გასულიერებული ადამიანური სიცოცხლის ყველაზე საუკეთესო დაცვა ხორციელდება მაშინ, როცა გასულიერება სპერმისა და კვერცხუჯრედის შერწყმის მომენტში ხდება.
- ეკლესია იმ ბიოსამედიცინო და მკურნალობის მეთოდებს სცნობს, რომელთა მეშვეობითაც განაყოფიერებული კვერცხუჯრედი წინასწარი განზრახვით არ ნადგურდება (არ ხდება შერჩევა).
- ეკლესიამ იცის, რომ არსებობს ბუნებრივი, ბიოლოგიური შერჩევა, როცა განაყოფიერებული კვერცხუჯრედის (ემბრიონის) საკმაო რაოდენობა ადამიანის ჩარევის გარეშეც იღუპება.
- ჩვენი ეკლესიის პოზიციის შესაბამისად მოქმედებამ შეიძლება შეზღუდვები გამოიწვიოს იმ კუთხით, რისი გაკეთებაც სამედიცინო თვალსაზრისით შესაძლებელია. ამგვარი შეზღუდვა ღვთისადმი ნდობით უნდა იქნას მიღებული, ვინაიდან ადამიანს სიცოცხლეს ღმერთი აძლევს და აუცილებელია მისი პატივისცემა.

„ადამიანის სიცოცხლის დასასრულზე“ საუბარი ამ ნაშრომის მეორე ნაწილში იქნება, რომელიც საეკლესიო ჟურნალ „კომუნიტის“ შემდეგ გამოცემაში გამოქვეყნდება.

სატიტულო ფურცელი
გამომცემელი: ჟან-ლუკ შნაიდერი, იუბერლანდშტრასე 243, 8051 ციურიხი / შვეიცარია
შპს ფრიდრიხ ბიშოფის გამომცემლობა, ფრანკფურტერშტრასე 233, 63263 ნოი-იზენბურგი / გერმანია
რედაქტორი: პეტერ იოჰანინგი

New Apostolic Church
International